პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზობელთა რევოლუციური კომიტეტის ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 25 სექტემბერი, 1946 წ. № 198 (7716). ფასი 20 კაპ.

ДЕСЕ ГАЗЕТАШИ:

ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხები „სანდეი ტაიმსის“ მოსკოველი კორესპონდენტის ბ-ნ ალექსანდრე ვერჯის მიერ ამხანაგ სტალინის სახელზე 1946 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილ ბარათში დასმულ კითხვებზე (1-ლი გვერდი).

სტალინური მზრუნველობა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი—მიწერილია (1-ლი გვერდი).

საქართველოს კოლმეურნეებმა მაღლობას უძღვნიან პარტიასა და მთავრობას კოლმეურნეობებისადმი სტალინური ზრუნვისათვის (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ლიტერატურის კეთილშობილური ტრადიციები — „პრავდის“ მიწერილია (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება — პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებიდან (მე-2 გვერდი).

თბილისელმა დაზგათმშენებლებმა შეუჯიბრებაში გაიმარჯვეს (მე-2 გვერდი).

პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-3 გვერდი).

უცხოთეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

სტალინური მზრუნველობა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი

ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა გენიალურად განაზოგადა საკოლმეურნეო შენებლობის გამოცდილება და მოგვცა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანმაგალითო წესდება, რომელშიც ჩამოყალიბებულია საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი წესები. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია. მისი განხორციელებით ჩვენი კოლმეურნეობანი განმტკიცდნენ ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად, კოლმეურნეთა ცხოვრება შეიცვალა და ესპარი გახდა.

კოლმეურნეობებმა თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა ცხადაყვეს დიდი სამამეული ომის წლებშიც. კოლმეურნე გლეხობა შეეფერხებოდა ომრთაგეთა ფრონტს, მოსახლეობას სურსათით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით.

ომის დამთავრების შემდეგ მშვიდობიანი შენებლობის პერიოდში კოლმეურნეობები ახალი ძალით შეუდგნენ შემამბის საარტელო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის, რათა სწრაფად მოეშენთ ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები.

მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სერიოზულ დარღვევებს.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი უფიდის მზრუნველობას იჩენენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის, კოლმეურნეთა შეძლებულობის ამაღლებისათვის. ამის მაგალითია მონტაჟელთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილება — „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“. ეს დადგენილება ერთხელ კიდევ მოწმობს სტალინურ ზრუნველობას კოლმეურნეობისადმი. ამავე დროს წარმოადგენს კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრილი გაკვეთილებიანი ბრძოლის პროგრამას.

როგორც ცნობილია, ახალ სტალინურ ხუთწლედში დასახულია საკოლმეურნეო შრომადღის განმტკიცების ამოცანა. ამასთან ბევრგან ადგილი აქვს შრომადღეების არასწორად ხარჯვას სამმართველო და მომსახურე პერსონალის შტატების გაბერვით, ადმინისტრაციულ-სამმართველო საქონოებისათვის როგორც შრომადღეების, ისე ფულადი სახსრების მეტისმეტად მეტადი ხარჯვით. შრომადღეების არასწორი ხარჯვა იწვევს ჯასანაწილებელი პრიზფონდისა და ფულის შემცირებას, მაშასადამე, საკოლმეურნეო შრომით კოლმეურნეთა დაინტერესების შემცირებასაც. ხულოს რაიონის სოფელ ჩაის კეკუხოველის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან გამოშუშავებული 14.300 შრომადღიდან 1.320 შრომადღე, ანუ 9,2 პროცენტი, მოსმახურე აპარატში მოიშვიე 6 კაცს დაუწერეს. ცხაკაიას რაიონის 8 კოლმეურნეობას თხეირო მეშაობის შედეგად შარშან შრომადღეზე ფული სრულებით არ გაეწიოთ. საკოლმეურნეო შენებლობის საქმეში პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას დამბინჯავენ მაგალეთი ფაქტები ირაწმიე უნდა აღვაკეთოთ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა გამიამეადა საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონის დამაბინჯველნი ბევრ კოლმეურნეობაში, განსაკუთრებით მოწყობარეგენლების ბრიგა. პარტია და მთავრობა ყოველთვის მოითხოვენენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესების დაცვას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო ჯერ კიდევ 1939 წლის 27 მაისს ცნობილ დადგენილებაში გაფრთხილებას აძლევდნენ პარტიულ, საბჭოთა და სამეწარმეო ქმედ ორგანოებს სასტიკად დაეცვათ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწები დატაცებისაგან. მაგრამ ომის წლებში ბევრმა მეშაკეთა ეს დადგენილება დაიეწყა. ამის კეთილ გაზრდილა კოლმეურნეობათა მიწების განაკვეთების შემთხვევები. მიწების დატაცება ხდებოდა კოლმეურნეთა სარგებლობიდან ნაკვეთების გადიდებით. ბევრი საეკლესიო მიწა ჩამოეჭრა კოლმეურნეობებს ინდივიდუალური ტბილოტნეობისა და საწარმოთა და დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებისათვის. ბორჩალოს რაიონში, სადაც სარწყავი მიწის დიდი მასივებია, დამხმარე მეურნეობებისათვის გადაეცა საკოლმეურნეო მიწების ეროვნი ფართობები. დიდადი საკოლმეურნეო მიწა განაკავეთეს ბურეკანის რაიონში, თუმცა იგი მკურნეობრივ რაიონად ითვლება. პარტიე, რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი სათანადო ზომებს არ იღებდნენ ამ უმაგალითოების აღმოსაფხვრელად.

ზაზგადოებრივი საკუთრება საკოლმეურნეო წყობილების საფუძველია. მაგრამ სოფლის ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ფუნქციონერები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ავიწყებენ ამას. ისინი ისე აფთიუნებენ ხელს კოლმეურნეობათა ქონებაში, როგორც თავის საკუთარ ჯიბეში, და ანიავებენ საკოლმეურნეო დოვლათს. გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის ბრიგის სახელობის კოლმეურნეობის ბუხალტერმა ნიკიანაშვილმა მითვალა 14 ათასი მანეთი საკოლმეურნეო თანხა, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლურჯეულ კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ განეკუთვნელი ფონდის ერთი ნაწილი ეკრძო პირებზე გასასესხებ. ბანა ეს სა კოლმეურნეო დოვლათის განიავება არ არის?

კოლმეურნეობის სტალინური წესდების მიხედვით საერთო კრება წარმოადგენს არტელის მართველ უმაღლეს ორგანოს. მიუხედავად ამისა, ზოგან მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან ვიმეორა ისე სწყვეტს, რომ ამის შესახებ კოლმეურნეებმა არაფერი იციან.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებები სსსოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში დამხინჯებანი შეფასებული ანტისაკოლმეურნეო და ანტიახალშეფიფოებრივ მოქმედებად. აუცილებელია ყველა საჭირო დასკვნა გავაკეთოთ შემქნილი ზედმიწევნილობიდან, მოლიანად ამოოფხვრათ დარღვევები, ფიგმაყარით მოოშეეკეოოო წესრიგი საკოლმეურნეო მოწყობარეგენლობაში, გავხარეთ შრომადღის ღირებულება, ფიზიკურ ეკოლმეურნეობანი საკოლმეურნეო ქონების ხელყოფისაგან, არ დაეკუშვათ საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევა.

აუცილებელია გადაჭრით გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა. ეს ნიშნავს აღვზარდოთ, გამოვაწროთოთ, შეეგარჩოთ და სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო კადრები, ეუხელმძღვანელოთ მეურნეობას ანა სამეურნეო ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი საშუალებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია: „დაწესდეს, რომ საბჭოთა, პარტიული და სამეწარმეო-მეურნეობრივი ორგანოების მუშაკები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებსაც დანაშაული მიეძღვოდეთ საკოლმეურნეო ქონების, საზოგადოებრივი მიწის, ფულადი სახსრების დატაცებისა და უკანონო გამეტებლობაში, ბოიხსნებიან თანამდებობიდან და მიეცემიან ექნებიან სამართალში, როგორც კანონის დამრღვევნი და საკოლმეურნეო წყობილების მტრები“. მეოთ გვაძსოდეს ეს, დაუნდობლად დავსაჯოთ საკოლმეურნეო წყობილების მტრები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა, მთელი საბჭოთა ავეშრის შრომელებთან ერთად, ხანგრძლივი შეზვდა და ახალი შრომითი ამაღლებით უპასუხა. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ეს დადგენილება საფუძვლიანად გაანალიზა საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელს, სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა ბრძოლა პოლიტიკურ და საწარმოო ამოცანებს.

უეჭველია ჩვენი კოლმეურნეებ ბრძოლობა ურყევად განახორციელებს საკოლმეურნეო-სამეურნეო არტელის წესდებას, კიდევ უფრო განამტკიცებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობას, ახალ საფეხურზე აიყვანს საარტელო მეურნეობის ყველა დარგს და ღირსეულად შეასრულებს იმ დიდ ამოცანებს, რაც დასახულია ახალ სტალინურ ხუთწლედში.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხები

„სანდეი ტაიმსის“ მოსკოველი კორესპონდენტის ბ-ნ ალექსანდრე ვერჯის მიერ ამხანაგ სტალინის სახელზე 1946 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილ ბარათში დასმულ კითხვებზე

კითხვა: გეკერათ თუ არა თქვენ „ახალი ომის“ რეალური საფრთხე, რომელზედაც ამჟამად ასე ბევრი უპასუხისმგებლო ლაპარაკია მთელს მსოფლიოში? რა ნაბიჯები უნდა გადადგას ომის თავიდან ასაცილებლად, თუ ისეთი საფრთხე არსებობს?

პასუხი: მე არ მჯერა „ახალი ომის“ რეალური საფრთხე.

„ახალ ომზე“ ახლა უმთავრესად ხმაურობენ ამბიდერო-პოლიტიკური მზვერავები და მათი მცირერიცხოვანი მომხრეები სამოქალაქო მოხელეთა რიგებიდან. მათ ეს ხმაური ხელიდებათ თუნდაც იმისათვის, რომ: ა) ომის აჩრდილით დააშინონ ზოგიერთი გულჩვრეული პოლიტიკოსები თავიანთი კონტრაგენტების რიგებიდან და ამრიგად დაეხმარონ თავიანთ მთავრობებს ბამოჰგლიჯონ კონტრაგენტებს რაც შეიძლება მეტი დათმობანი; ბ) რამდენიმე ხნით შეაფერხონ თავიანთი ქვეყნების სამხედრო მიუჯერებების შემცირება; გ) შეაფერხონ ჯარების დემობილიზაცია და ამრიგად თავიდან აიცილონ უმუშევრობის სწრაფი ზრდა თავიანთ ქვეყნებში.

საჭირო მკვეთრად განვასხვავოთ „ახალი ომის“ შესახებ ხმაური, რომელიც ახლა სწარმოებს, და „ახალი ომის“ რეალური საფრთხე, რომელიც ამჟამად არ არსებობს.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები შეგნებულად ჰქმნიან საბჭოთა კავშირისათვის „კაპიტალისტურ გარემოცვას“?.

პასუხი: მე არ ვფიქრობ, რომ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს შეეძლოთ შეჰქმნან „კაპიტალისტური გარემოცვა“ „საბჭოთა კავშირისათვის“, მათ ეს კიდევაც რომ ხურდეთ, რის მტკიცებაც მე არ შემიძლია.

კითხვა: ბ-ნ უოლესის უკანასკნელ გამოსვლაში ნახმარი სიტყვებით რომ ვთქვათ, შეეძლიათ თუ არა იმგლისს, დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებს დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საბჭოთა პოლიტიკა გერმანიაში არ გადაიქცევა რუსეთის იმ მისწრაფებათა იარაღად, რომლებიც მიმართულია დასავლეთ ევროპის წინააღმდეგ?

პასუხი: მე გამორიცხულად მიმაჩნია საბჭოთა კავშირის მიერ გერმანიის გამოყენება დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. მე ეს გამორიცხულად მიმაჩნია არა მარტო იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი დაკავშირებულია დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ხელშეკრულებით გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შესახებ, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებთან — სამი დიდი სახელმწიფოს პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებით, არამედ იმიტომაც,რომ გერმანიის გამოყენების პოლიტიკა დახავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი ჩამოშორდა თავის ძირითად ეროვნულ ინტერესებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკა გერმანიის საკითხში განისაზღვრება გერმანიის დემილიტარიზაციითა და დემოკრატიზაციით. მე ვფიქრობ, რომ გერმანიის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია წარმოადგენს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გარანტიას.

კითხვა: როგორია თქვენი აზრი იმ ბრალდების გამო, რომ დასავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიების პოლიტიკა „მოსკოვის ნაკარნახევიაო“?.

პასუხი: ამ ბრალდებას მე ვთვლი აბსურდად, რომელიც ნახესხებია ჰიტლერ-გებელსის გაკოტრებული არსენალიდან.

კითხვა: გეკერათ თუ არა თქვენ საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის დემოკრატიების მეგობრული ან ხანგრძლივი თანამშრომლობის შესაძლებლობა, მიუხედავად იდეოლოგიურ უთანხმოებათა არსებობისა, და ორ სისტემას შორის „მეგობრული შეჯიბრება“, რომელ ზედაც თავის სიტყვაში ლაპარაკობდა უოლესი?

პასუხი: უეჭველად მჯერა.

კითხვა: ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის აქ ყოფნის დროს, თქვენ, რამდენადაც მე გავიგე, რწმენა გამოსთქვით, რომ შესაძლებელია მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის. რა დაეხმარებოდა ასეთ ურთიერთობათა დამყარებას, რაც ესოდენ მხურვალედ სურთ ინგლისელი ხალხის ფართო მასებს.'

პასუხი: მე ნამდვილად დარწმუნებული ვარ საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის მეგობრულ ურთიერთობათა შესაძლებლობაში. ასეთ ურთიერთობათა დამყარებას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული კავშირის გაძლიერება.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ მომავალი მშვიდობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებლად მთელი ამერიკული ჯარის რაც შეიძლება მალე გაყვანა ჩინეთიდან?

პასუხი: დიახ, მიმაჩნია.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ატომური ბომბის ფაქტიური მონოპოლიური მფლობელობა ერთ-ერთი მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისათვის?

პასუხი: მე ატომური ბომბი არ მიმაჩნია ისეთ სერიოზულ ძალად, როგორადაც ხურს ჩასთვალთ ბევრი პოლიტიკურ მოღვაწენი. ატომური ბომბები გათვალისწინებულია ხუსტენერვებიან ადამიანთა დაშინებლად, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ომის ბედის გადაწყვეტა, ვინაიდან ამისათვის სავსებით არ არის საკმარისი ატომური ბომბები. რა თქმა უნდა, ატომური ბომბის საიდუმლოების მონოპოლიური მფლობელობა ჰქმნის საფრთხეს, მაგრამ ამის წინააღმდეგ არსებობს, ხულ ცოტა, ორი საშუალება: ა) ატომური ბომბის მონოპოლიური მფლობელობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს; ბ) ატომური ბომბის გამოყენება აკრძალული იქნება.

კითხვა: ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ კომუნიზმისაკენ საბჭოთა კავშირის შემდგომ წინსვლასთან ერთად გარეშე სამყაროსთან მშვიდობიანი თანაშრომლობის შესაძლებლობა არ შემცირდება, რამდენადაც ეს შეეხება საბჭოთა კავშირს? შესაძლებელია თუ არა „კომენიზმი ერთ ქვეყანაში“?.

პასუხი: მე ეჭვი არ მეპარება, რომ მშვიდობიანი თანაშრომლობის შესაძლებლობანი არა თუ არ შემცირდებიან, არამედ შეიძლება გადიდდნენ კიდეც.

„კომუნიზმი ერთ ქვეყანაში“ სავსებით შესაძლებელია, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც საბჭოთა კავშირია.

საქართველოს კოლმეურნეები მაღლობას უძღვნიან პარტიასა და მთავრობას კოლმეურნეობებისადმი სტალინური მზრუნველობისათვის

კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესების საღარაჯოზე

(საუბარი დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ლალიაშვილთან)

ჩვენი კოლმეურნეობის, წევრები დიდი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“.

ბაღტარები დადგენილებას კოლმეურნეებს აცნობენ მინდორად და მტკნეოელობის ფერმებში. კოლმეურნეები ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებში ხედავენ პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის ზრუნვას კოლმეურნეობათა შემდგომი აყვავებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდისათვის.

ჩვენმა კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეული, ყველის, ტყავის ჩაბარების წლიური გეგმები. წარმატებით შეგასრულეთ მეცხოველეობის ფერმებში: სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის დაკალებანი.

მიუხედავად იმისა, რომ წელს ნათესები დაიტაცეს, შარშანდელზე მაინც ძალი მოგვალი მიეიღეთ. შრომადღის ღირებულება იზრდება, მაგრამ არასაკმაოდ. ჩვენ მეტი წარმატებები გვექნებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას რომ ზუსტად ვიხორციელებდეთ. მაგალითად, არასწორად იხარჯება შრომადღეები. კოლმეურნეობის შრომადღეების ხარჯზე ინახავენ სასოფლო საბჭოს ალმასრეულებულ, რომელსაც ყოველთვიურად ჩვენი კოლმეურნეობაში 6 შრომადღე ეწერება. უხეშად ირღვევიდა მიწათსარგებლობის წესებიც. საკარმიდამო ნაკვეთებში გაფართოების გზით სხვადასხვა პირებმა მითვისეს 3 ჰექტარი მიწა. სწორმოთ-დაწესებულებებს დაუხმარე მეურნეობებისათვის მიცემული ჰექნდათ 15 ჰექტარი მიწა, ხოლო მუშა-მოსამსახურეებს ინდივიდუალური მბოსტნეობისათვის — 7 ჰექტარი.

გვაქვს სხვა ნაკლოვანებებიც. ჩვენ მთელი ენერგიით ვებრძოლებთ მათ აღმოფხვრისათვის.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი სტალინის ზრუნვას და დახმარებას კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი ჩვენ ეუპასუხებთ ყველა დავალების სანიმუშოდ შესრულებით, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებას, საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლესი კანონის ურყევად განმტკიცებით.

ახლა ჩვენს კოლმეურნეობაში გაცხოველებული მიჯნინარეობს საშემოდგომო ხვნა-თესვა და სიმინდის მოსავლის აღება. პარტიისა და მთავრობის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ ახალ ძალას გვმატებს შემდგომ წარმატებათა მოსახელებლად.

მაღლობა დიდ სტალინს!

(საუბარი მცხეთის რაიონის სოფელ ძსოგერისის ჩოდრიშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჩალიბავასთან)

მშრომელები ეცნობიან კოლმეურნეობათა შემდგომი გაძლიერების ღონისძიებებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“.

ჩვენს კოლმეურნეობაში ხშირად ირღვეოდა არტელის წესდება. სხვადასხვა პირებმა უკანონოდ მითვისეს 6,02 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა. ადგილი აქვს შრომადღეების არასწორად ხარჯვასაც. სასოფლო საბჭოს ალმასრეულებელს, რომელსაც არავითარი კვენრი არა აქვს საკოლმეურნეო წარმოებასთან დღეშიე ყოველთვიურად 10 შრომადღე ეწერებოდა. ჩვენს მოადგილესაც, რომელიც განთავისუფლებული არ არის ფიზიკური შრომისაგან, თვეში 40 შრომადღეს ვიტიბავდით. დარღვეულია ავანსების გაცემის წესი. კოლმეურნეობის მთელ რიგ წევრებზე გასული წლიდან ზნეშეზნეულები რაოდენობით ირიცხება ავადსახსენებელ ალიბაბა ალიევი, ლეწეული, ავშემოდგომი ხვნის, გადახვნისა და ათოვნის გეგმები.

ბუნ ახლა ეწევა საშემოდგომო ლეკვაკა, ფარცხვა, კულტივაციას და ეზრალად ხვნას.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხები

„სანდეი ტაიმსის“ მოსკოველი კორესპონდენტის ბ-ნ ალექსანდრე ვერჯის მიერ ამხანაგ სტალინის სახელზე 1946 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილ ბარათში დასმულ კითხვებზე

კითხვა: გეკერათ თუ არა თქვენ „ახალი ომის“ რეალური საფრთხე, რომელზედაც ამჟამად ასე ბევრი უპასუხისმგებლო ლაპარაკია მთელს მსოფლიოში? რა ნაბიჯები უნდა გადადგას ომის თავიდან ასაცილებლად, თუ ისეთი საფრთხე არსებობს?

პასუხი: მე არ მჯერა „ახალი ომის“ რეალური საფრთხე.

„ახალ ომზე“ ახლა უმთავრესად ხმაურობენ სამხედრო-პოლიტიკური მზვერავები და მათი მცირერიცხოვანი მომხრეები სამოქალაქო მოხელეთა რიგებიდან. მათ ეს ხმაური სჭირდებათ თუნდაც იმისათვის, რომ: ა) ომის აჩრდილით დააშინონ ზოგიერთი გულჩვრეული პოლიტიკოსები თავიანთი კონტრაგენტების რიგებიდან და ამრიგად დაეხმარონ თავიანთ მთავრობებს ბამოჰგლიჯონ კონტრაგენტებს რაც შეიძლება მეტი დათმობანი; ბ) რამდენიმე ხნით შეაფერხონ თავიანთი ქვეყნების სამხედრო მიუჯერებების შემცირება; გ) შეაფერხონ ჯარების დემობილიზაცია და ამრიგად თავიდან აიცილონ უმუშევრობის სწრაფი ზრდა თავიანთ ქვეყნებში.

საჭირო მკვეთრად განვასხვავოთ „ახალი ომის“ შესახებ ხმაური, რომელიც ახლა სწარმოებს, და „ახალი ომის“ რეალური საფრთხე, რომელიც ამჟამად არ არსებობს.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები შეგნებულად ჰქმნიან საბჭოთა კავშირისათვის „კაპიტალისტურ გარემოცვას“?.

პასუხი: მე არ ვფიქრობ, რომ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს შეეძლოთ შეჰქმნან „კაპიტალისტური გარემოცვა“ „საბჭოთა კავშირისათვის“, მათ ეს კიდევაც რომ ხურდეთ, რის მტკიცებაც მე არ შემიძლია.

კითხვა: ბ-ნ უოლესის უკანასკნელ გამოსვლაში ნახმარი სიტყვებით რომ ვთქვათ, შეეძლიათ თუ არა იმგლისს, დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებს დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საბჭოთა პოლიტიკა გერმანიაში არ გადაიქცევა რუსეთის იმ მისწრაფებათა იარაღად, რომლებიც მიმართულია დასავლეთ ევროპის წინააღმდეგ?

პასუხი: მე გამორიცხულად მიმაჩნია საბჭოთა კავშირის მიერ გერმანიის გამოყენება დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. მე ეს გამორიცხულად მიმაჩნია არა მარტო იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი დაკავშირებულია დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ხელშეკრულებით გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შესახებ, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებთან — სამი დიდი სახელმწიფოს პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებით, არამედ იმიტომაც,რომ გერმანიის გამოყენების პოლიტიკა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი ჩამოშორდა თავის ძირითად ეროვნულ ინტერესებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკა გერმანიის საკითხში განისაზღვრება გერმანიის დემილიტარიზაციითა და დემოკრატიზაციით. მე ვფიქრობ, რომ გერმანიის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია წარმოადგენს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გარანტიას.

კითხვა: როგორია თქვენი აზრი იმ ბრალდების გამო, რომ დასავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიების პოლიტიკა „მოსკოვის ნაკარნახევიაო“?.

პასუხი: ამ ბრალდებას მე ვთვლი აბსურდად, რომელიც ნახესხებია ჰიტლერ-გებელსის გაკოტრებული არსენალიდან.

კითხვა: გეკერათ თუ არა თქვენ საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის დემოკრატიების მეგობრული ან ხანგრძლივი თანამშრომლობის შესაძლებლობა, მიუხედავად იდეოლოგიურ უთანხმოებათა არსებობისა, და ორ სისტემას შორის „მეგობრული შეჯიბრება“, რომელ ზედაც თავის სიტყვაში ლაპარაკობდა უოლესი?

პასუხი: უეჭველად მჯერა.

კითხვა: ლეიბორისტული პარტიის დელეგაციის აქ ყოფნის დროს, თქვენ, რამდენადაც მე გავიგე, რწმენა გამოსთქვით, რომ შესაძლებელია მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის. რა დაეხმარებოდა ასეთ ურთიერთობათა დამყარებას, რაც ესოდენ მხურვალედ სურთ ინგლისელი ხალხის ფართო მასებს.'

პასუხი: მე ნამდვილად დარწმუნებული ვარ საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის მეგობრულ ურთიერთობათა შესაძლებლობაში. ასეთ ურთიერთობათა დამყარებას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული კავშირის გაძლიერება.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ მომავალი მშვიდობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებლად მთელი ამერიკული ჯარის რაც შეიძლება მალე გაყვანა ჩინეთიდან?

პასუხი: დიახ, მიმაჩნია.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ატომური ბომბის ფაქტიური მონოპოლიური მფლობელობა ერთ-ერთი მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისათვის?

პასუხი: მე ატომური ბომბი არ მიმაჩნია ისეთ სერიოზულ ძალად, როგორადაც ხურს ჩასთვალთ ბევრი პოლიტიკურ მოღვაწენი. ატომური ბომბები გათვალისწინებულია ხუსტენერვებიან ადამიანთა დაშინებლად, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ომის ბედის გადაწყვეტა, ვინაიდან ამისათვის სავსებით არ არის საკმარისი ატომური ბომბები. რა თქმა უნდა, ატომური ბომბის საიდუმლოების მონოპოლიური მფლობელობა ჰქმნის საფრთხეს, მაგრამ ამის წინააღმდეგ არსებობს, ხულ ცოტა, ორი საშუალება: ა) ატომური ბომბის მონოპოლიური მფლობელობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს; ბ) ატომური ბომბის გამოყენება აკრძალული იქნება.

კითხვა: ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ კომენიზმისაკენ საბჭოთა კავშირის შემდგომ წინსვლასთან ერთად გარეშე სამყაროსთან მშვიდობიანი თანაშრომლობის შესაძლებლობა არ შემცირდება, რამდენადაც ეს შეეხება საბჭოთა კავშირს? შესაძლებელია თუ არა „კომენიზმი ერთ ქვეყანაში“?.

პასუხი: მე ეჭვი არ მეპარება, რომ მშვიდობიანი თანაშრომლობის შესაძლებლობანი არა თუ არ შემცირდებიან, არამედ შეიძლება გადიდდნენ კიდეც.

„კომუნიზმი ერთ ქვეყანაში“ სავსებით შესაძლებელია, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც საბჭოთა კავშირია.

ᲗᲔᲠᲗᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲚᲘ-ᲛᲔ ᲨᲔᲡᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲜᲘᲠᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

სოციალისტური შეჯიბრებაა ფართოდ გამული თბილისის რაიონში. ეფექტიანი მეტოდ კოლეტივებმა 1946 წლის სამეშაოთა გეგმები 20 სექტემბრისათვის 102,8 პროცენტით შეასრულეს. გადაჭარბებით არის შესრულებული როგორც საგაზაფხულო სამუშაოები, ისე მოსავლის აღება, ლეწვის, ავშემოდგომი ხვნის, გადახვნისა და ათოვნის გეგმები.

ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲘ ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲡᲗᲐᲡ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲘ ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲡᲗᲐᲡ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

პარტიული ცხოვრება

პარტბიუროს საქმე ბოლომდე არ მიჰყავს

კალინინის სახელობის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (თბილისი) ხშირად მსჯელობს საწარმოო საკითხებზე, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებზე, დადგენილებებიც კარგი გამოაქვს, მაგრამ ისინი ყოველთვის როდი სრულდება.

— რაშია საქმე, რა გიშლით ხელს? —ვეკითხებით პარტბიუროს მდივანს ამხ. რაზმაძეს.

მისმა პასუხმა რამდენადმე გაგვაკვირვა.

— განა ღირს დირექტორის განაწყენება?—გაიცინა მდივანმა. ამით მან მიგვახვედრა, რომ პარტორგანიზაციის ზოგიერთ გადაწყვეტილებას ქარხნის დირექტორი ამხ. მეშველიანი უყურადღებოდ სტოვებს.

ასეც არის.

მუშათა საერთო საცხოვრებლის სახურავში წვიმა ჩამოდიოდა, ოთახებში ცხოვრების ელემენტარული პირობები არ იყო, თეთრეული დროულად არ ირეცხებოდა, მუშები კუთვნილ საპონსაც ვერ იღებდნენ. ქარხნის პარტორგანიზაციამ იმსჯელა ამ საკითხზე, შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, დასვა საკითხი ქარხნის დირექტორის წინაშე, რათა სასწრაფოდ დაწყებულიყო მუშათა საცხოვრებლის რემონტი. კრებას ქარხნის დირექტორი ამხ. მეშველიანიც ესწრებოდა. მან ეს გადაწყვეტილება შეურაცხყოფად მიიღო და იქვე კრებაზე განაცხადა: „რამდენიც გინდა დაადგინეთ, საერთო საცხოვრებლის რემონტს მაინც არ ჩავატარებო". ეს იყო შარშან. მას აქეთ ერთ წელზე მეტი გავიდა. პარტორგანიზაციამ კიდევ რამდენჯერმე განიხილა მუშათა საცხოვრებლების შეკეთების საკითხი, მაგრამ არც შემდგომ დადგენილებებს შეუცვლია მდგომარეობა.

ამრიგად, პარტორგანიზაცია ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

კალინინის სახელობის ქარხანას საპასუხისმგებლო ამოცანა აკისრია. მან ამიერკავკასიის მეტალურგიულ კომბინატს უნდა მოუმზადოს კადრები: ზეინკლები, ხარატები, მეყალიბეები, მსხმელები. ამ მიზნით ორი წლის წინათ ქარხანას ასაზრდელად მიაბარეს სამოცზე მეტი ახალგაზრდა. როგორ მოუარა ქარხანამ ამ ახალგაზრდებს?

— ორი წელიწადი გვისრულდება, რაც აქ ვმუშაობთ და ზოგიერთ ჩვენგანს უბრალო სამუშაოს შესრულება უჭირს.—ამბობს ახალგაზრდა მუშა ტატაშ ბიდია.—ჩვენს საცხოვრებელში წვიმა ჩამოდის. ნაყოფიერი შრომისათვის პირობები არა გვაქვს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი შრომა საჭიროა, და ამიტომ შეგნებულად მოვედით აქ. გვეუბნებოდნენ, საუკეთესო პირობებს შეგიქმნითო, მაგრამ ამას ვერ ვხედავთ.

ახალგაზრდების საწარმოო აღზრდის საქმე აქ მართლაც თვითდინებას მიანდეს. ახალგაზრდა მუშა გ. მოსია თითქმის ერთი წელიწადია სახარატო საამქროში მუშაობს. ოსტატი ამხ. გასპაროვი მას არ ეხმარება არჩეული პროფესიის ათვისებაში. გ. მოსიას დღემდე დამხმარე მუშად იყენებენ და არავინ ფიქრობს, რომ იგი კვალიფიციური ოსტატი გახდეს. ახალგაზრდა ბ. ისაშვილი ორი წელიწადია მუშაობს საზეინკლო საამქროში, ჩინებულად ასრულებს მე-4, მე-5 თანრიგის მუშის მოვალეობას, ხოლო ხელფასს მეორე თანრიგის მიხედვით იღებს. ახალგაზრდებმა ბევრჯერ მიმართეს საამქროს ხელმძღვანელებს, ქარხნის დირექტორსაც თანრიგის მომატებისა და პირობების გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ მათი მოთხოვნა დღემდი უშედეგოდ დარჩა.

— რატომ არ მიმართეთ დახმარებისათვის პარტბიუროს?—ვეკითხებით მათ.

— არაფერი გამოვა, პარტბიურომ კარგად იცის ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის პირობები, მაგრამ საჭირო ზომებს არ იღებს,—განაცხადეს ახალგაზრდა მუშებმა.

ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ წელს ქარხნიდან 16 ახალგაზრდა წავიდა, ხოლო დარჩენილთაგან ბევრი გულაცრუებულად მუშაობს.

მიმდინარე წლის იანვრიდან ქარხანას უნდა უზრუნველეყო რკინის საწოლების მასობრივი დამზადება. რა იყო საჭირო ამისათვის? კვალიფიციური მუშახელი, ახალი საამქროს ამუშავება, შინარესურსების ამოძრავება. უკვე წელიწადი გადის და ეს დავალება ისევ შეუსრულებელია. ვერ იქნა და ვერ ამუშავდა საზეინკლო საამქრო და სამსხმელო ღუმელი. კვლავ მოუგვარებელია მუშახელის საკითხი. ერთი წლის მანძილზე 120 კაცის ნაცვლად 40 კაცი ძლივს მოამზადეს, ხოლო ისეთი წამყვანი კვალიფიკაციის მუშები, როგორიც მსხმელებია, საწოლების საამქროს დღემდე სრულებით არა ჰყავს. პარტიულმა ორგანიზაციამ ეს საკითხი მრავალგზის განიხილა, პრაქტიკული ღონისძიებებიც დასახა, მაგრამ ადმინისტრაცია მას არ გამოხმაურებია. მუშახელის საკითხის მოუგვარებლობის გამო საწოლების გამოშვება კვლავ მოუწესრიგებელია.

იბადება კითხვა: შეიძლებოდა თუ არა დღემდე საამქროს უზრუნველყოფა კვალიფიციური მუშახელით? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, თუნდაც იმავე ქარხნის ძალებით. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ქარხნის დირექციამ წლის განმავლობაში ვერ შესძლო მსხმელის პრობლემის გადაჭრა. ამავე დროს ირკვევა, რომ თურმე იქვე ქარხანაში მუშაობენ პირველი კლასის მსხმელები ამხანაგები კონდრატენკო და ნოვიკოვი, რომლებიც სხვა სამუშაოზე არიან გამოყენებულნი.

ახლა ავიღოთ სასადილოს საკითხი.

ქარხნის მუშათა სასადილო შეუფერებელ ბინაშია. დიდი ხანია არსებობს გადაწყვეტილება ახალი სასადილოს მოწყობის შესახებ. საამისოდ შესაფერი ბინაც იყო გამოყოფილი. სასადილო ჯერ კიდევ იანვრიდან უნდა გადასულიყო ამ ახალ ბინაში, მაგრამ დაპირება დღესაც შეუსრულებელია. სასადილო ძველ, ჭუჭყიან ბინაში განაგრძობს მუშაობას. ღუმელის წარამარა გაფუჭების გამო მუშები ხშირად უსადილოდაც რჩებიან. იქ აუცილებელ ინვენტარსაც ვერ ნახავთ: არ ყოფნით მაგიდები, სკამები. მუშები ფეხზე სადილობენ. ოთხასზე მეტ კაცს სასადილო 40 ჯამით ემსახურება.

ყოველივე ამას ქარხნის დირექტორი ამხ. მეშველიანი გულდამშვიდებით შესჰყურებს, ხოლო პარტორგანიზაციას სასადილოს ცუდი მუშაობის საკითხი წელს ერთხელაც არ განუხილავს. პარტბიუროს მდივანი ამხ. რაზმაძე აცხადებს, სულ ერთია, დირექცია ზომებს მაინც არ მიიღებსო.

ყველაფრიდან ჩანს, რომ კალინინის სახელობის ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ დაჰკარგა დამოუკიდებლობა. იგი გაურბის ადმინისტრაციის კრიტიკას და გადამწყვეტ ზომებს არ იღებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

„ამგვარი ფაქტები,—სწერს „პრავდა",—შეუწყნარებელია, მათთან შერიგება არ შეიძლება. დამოუკიდებლობა და თავისთავადობა პარტიულ მუშაკებს იმისათვის ესაჭიროებათ, რომ განახორციელონ თავიანთი ხელმძღვანელი როლი, მტკიცედ დაიცვან სახელმწიფოს ინტერესები, გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა მიუხედავად პიროვნებისა, ხალხის სასარგებლოდ, პარტიისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ".

ეს მითითება კარგად უნდა ახსოვდეს კალინინის სახელობის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას და მის მდივანს ამხ. რაზმაძეს. თუ დირექტორი ყურს არ უგდებს პარტიული ორგანიზაციის ხმას, განა პარტორგანიზაციის მდივანი ვალდებული არ არის დასვას საკითხი რაიონული კომიტეტის, საქალაქო კომიტეტის წინაშე? მაგრამ, როგორც ჩანს, ამხ. რაზმაძე საკითხების პრინციპულ სიმაღლეზე აყვანას ერიდება, არ სურს აწყენინოს დირექტორს. ეს კი იწვევს პარტიული ორგანიზაციის როლის დაქვეითებას და საქმისათვის დიდი ზიანი მოაქვს.

ა. ნინუა

თეატრების რეპერტუარის გაუმჯობესება

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 26 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია დრამატიული თეატრების რეპერტუარის ძირფესვიანი გაუმჯობესებისა და მათი შემოქმედებითი საქმიანობის დონის ამაღლებისაკენ.

ყოველ თეატრში ჩატარდება „დრამატიული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვა.

გადაისინჯება და ხელახლა დამტკიცდება თეატრების მთელი სარეპერტუარო გეგმები 1946 წლის დარჩენილი დროისათვის და მომავალი 1947 წლისათვის. გადაწყვეტილია უმოკლეს ვადაში განხორციელდეს საბჭოთა ავტორების საუკეთესო პიესების თარგმნა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე.

მოკავშირე რესპუბლიკებში იგზავნებიან ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლები თეატრების რეპერტუარის შესამოწმებლად და ხელოვნების ორგანოებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება

(საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს 20 სექტემბრის ცნობებით)

ციტრუსების მყნობა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა ციტრუსოვანი კულტურების მყნობის გეგმა 101,0 პროცენტით შეასრულეს. ლიმონის მყნობის გეგმა შესრულებულია 101,5 პროცენტით, მანდარინის—104,0, ფორთოხლისა—90,9 პროცენტით.

აჭარის ასს რესპუბლიკაში მყნობის გეგმა შესრულებულია 101,2 პროცენტით, მახარაძის რაიონში—108,8, ლანჩხუთის—107,6, ჩოხატაურის—106,8, წულუკიძის—105,0, ქუთაისის—102,0, აბაშის—120,0, ცხაკაიას—100,0, ხობის—106,0, ჩხოროწყუს—100,0, წალენჯიხის—166,6, ზუგდიდის—100,6, წყალტუბოს რაიონში—105,3 პროცენტით.

ჩამორჩნენ აფხაზეთის ასსრ, სამტრედიისა და გეგეჭკორის რაიონების კოლმეურნეობები. აფხაზეთში გეგმა შესრულებულია 98,1 პროცენტით, სამტრედიის რაიონში—95,3, გეგეჭკორის რაიონში—68,0 პროცენტით.

შეტეხილია 81.469.209 ზონარმეტრი თამბაქო

კოლმეურნეობებმა თამბაქოს ფოთლის შეტეხის გეგმა 85,8 პროცენტით შეასრულეს. შეტეხილია 81.469.209 ზონარმეტრი თამბაქო.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ შეტეხის გეგმა 85,7 პროცენტით შეასრულა, აჭარის ასს რესპუბლიკამ—86,6 პროცენტით, ზუგდიდის რაიონმა — 89,6, ჩოხატაურის—81,8, სიღნაღის — 73,9, ყვარლის—70,8, ლაგოდეხის — 95,4, ბორჩალოს—74,5, ბოლნისის რაიონმა—103,0 პროცენტით.

მზესუმზირას მოსავალი აღებულია 16.765 ჰექტარზე

თეთრი წყაროს რაიონში მზესუმზირის მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 76,0 პროცენტით, გურჯაანის რაიონში—97,6, კაჭრეთის—98,2, სიღნაღის—98,6, წითელწყაროს—95,6, თელავის—100,0, ახმეტის—61,2, ყვარლის—98,7, ლაგოდეხის—100,0, თბილისის—75,9, მცხეთის—62,8, საგარეჯოს რაიონში—81,3 პროცენტით.

მზესუმზირა რესპუბლიკაში სულ აღებულია 16.765 ჰექტარზე. გეგმა შესრულებულია 91,6 პროცენტით.

ევკალიპტის თესვა

დიდი ჩამორჩენაა ზუგდიდის, ჩოხატაურისა და წყალტუბოს რაიონებში,—მათ ევკალიპტის თესვა არც კი დაუწყიათ.

ჩხოროწყუს რაიონმა გეგმა მხოლოდ 25,0 პროცენტით შეასრულა, ხობის რაიონმა—68,0 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ—87,5, აჭარის ასს რესპუბლიკამ—90,4 პროცენტით.

თესვის გეგმები შესრულებულია ფოთში, აგრეთვე მახარაძის, ლანჩხუთის, სამტრედიის, წულუკიძის, ქუთაისის, აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიასა და წალენჯიხის რაიონებში.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დათესილია 277 კილოგრამი ევკალიპტის თესლი. გეგმა შესრულებულია 80,7 პროცენტით.

ბამბა აღებულია 1.807 ჰექტარზე

ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებმა ბამბის მოსავალი აიღეს 1.080 ჰექტარზე, ბოლნისის რაიონში—727 ჰექტარზე. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 17,2 პროცენტით.

თბილისელმა დაზგათმშენებლებმა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა აგვისტოში ახალი მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. დაზგათმშენებელი ქარხნების სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მან მეორე ადგილი დაიკავა და პრემია მიიღო.

ამის გამო სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის მინისტრმა ამხ. ეფრემოვმა კიროველებს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც ქარხნის კოლექტივს მოუწოდებს არ შეანელოს მუშაობის ტემპები, კვლავ განაგრძოს ბრძოლა ახალი წარმატებების მოსაპოვებლად—მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო დავალებათა ვადაზე ადრე შესასრულებლად.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისა და ამასთან დაკავშირებით მინისტრის მისასალმებელი დეპეშის მიღების აღსანიშნავად გუშინ ქარხანაში გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს მოწინავე მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. მათ წინადადება შეიტანეს დაისახოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ წლიური გეგმის შესრულება ქარხნის კოლექტივმა უზრუნველჰყოს არა 5 დეკემბრისათვის, როგორც ეს მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრეს, არამედ 7 ნოემბრისათვის. ამ წინადადებამ საყოველთაო მოწონება ჰპოვა.

კიროველმა დაზგათმშენებლებმა მოუწოდეს თბილისის ყველა საწარმოს კოლექტივს მიბაძონ მათს მაგალითს.

გეგმას ყველა საამქრო უნდა ასრულებდეს

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ცნობილმა სტახანოველებმა — მჭედელმა ვ. კორძაძემ, ზეინკალმა ი. ხარგალაძემ, მეყალიბე გ. მელაძემ, ხარატმა ა. ბაღდასაროვმა, შემდუღებელმა ს. კლიმენკომ და სხვებმა, რომლებიც მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადაზე ადრე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, უკვე შეასრულეს სამი და სამნახევარი წლის გეგმები. მოწინავეთა ამ რიცხვს ყოველდღიურად ახალ-ახალი ადამიანები ემატებიან.

საამქროთა შორისაც ბევრია მოწინავე. განსაკუთრებით ისახელა თავი პირველმა ამწყობმა საამქრომ, რომლის უფროსია ქარხნის პარტბიუროს მდივნის მოადგილე ი. ოსიპოვი. ამ საამქროს კოლექტივმა ივლისის გეგმა 124,8 პროცენტით შეასრულა. ასეთივე გადაჭარბებით შეასრულა მან აგვისტოს საწარმოო დავალებაც. ივლის-აგვისტოში კარგად იმუშავეს და თვიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს სარემონტო, სამოდელო და სამჭედლო საამქროთა კოლექტივებმა.

ამ საამქროების მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგად ქარხანამ დიდი რაოდენობით გამოუშვა რედუქტორები, ტრანსპორტერები და ფართო მოხმარების სხვადასხვა საქონელი, რამაც უზრუნველჰყო გეგმების გადამეტებით შესრულება. ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების ივლისის გეგმა 112,6 პროცენტით შეასრულა, ხოლო აგვისტოსი—107,4 პროცენტით.

მაგრამ ყველა საამქრო როდი მუშაობს დამაკმაყოფილებლად. ივლის-აგვისტოში გეგმების შესრულებაში ჩამორჩა მექანიკური საამქრო (უფროსი ბ. გრიგორიევი). მისი ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ აქ უკანასკნელ ხანს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ შრომის დისციპლინის საკითხებს, საკმაო მზრუნველობას არ იჩენენ იმ მუშების მიმართ, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ დღიურ ნორმებს. მაგალითად, ე. კეტიაშვილი და ე. მარგიშვილი დღიურ დავალებებს მხოლოდ 60-80 პროცენტით ასრულებენ, მაგრამ მათთან არავინ მუშაობს.

მექანიკური საამქროს ჩამორჩენამ გავლენა მოახდინა მომიჯნავე, მეორე ამწყობი საამქროს (უფროსი გ. მარქაროვი) ნორმალურ მუშაობაზე. საამქრომ დროულად ვერ მიიღო ასაწყობად დამზადებული დეტალები და ამიტომ გეგმა ვერ შეასრულა. საწარმოო დავალებათა შესრულებაში ჩამორჩა აგრეთვე სამსხმელო საამქროს (უფროსი ვ. ბუტი) კოლექტივი.

მანქანათმშენებლებს შესაძლებლობა აქვთ დროზე აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი და მიაღწიონ ყველა საამქროს გამართულ მუშაობას.

კ. მჭედლიშვილი

მოწინავე ჩაის ფაბრიკა

მაღლაკის (წყალტუბოს რაიონი) ჩაის ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ტ. თორთლაძე, მთავარი ტექნოლოგი ა. პაქსაშვილი) ყოველთვიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს და ქვეყანას მაღალხარისხოვან პროდუქციას აძლევს.

მაისში, ივნისსა და ივლისში ფაბრიკამ გამოუშვა 66.530 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37.100 კილოგრამისა. სამი თვის დავალება შესრულებულია 179,3 პროცენტით. აგვისტოში ფაბრიკას უნდა გამოეშვა 80 კილოგრამი „საქართველოს თაიგული", ფაქტიურად გამოუშვა 280 კილოგრამი. „ექსტრა" 320 კილოგრამის ნაცვლად გამოშვებულია 1.250 კილოგრამი, უმაღლესი ხარისხის ჩაი—ნაცვლად 766 კილოგრამისა 3.000 კილოგრამი, პირველი ხარისხისა—3.870 კილოგრამის ნაცვლად 5.000 კილოგრამი.

ენერგიული მუშაობის შედეგად აქ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს „საქართველოს თაიგულის", „ექსტრას", უმაღლესი ხარისხის და პირველი ხარისხის ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. „საქართველოს თაიგულის" გამოშვების წლიური დავალება შესრულებულია 130 პროცენტით, „ექსტრასი"—906,7 პროცენტით და უმაღლესი ხარისხის ჩაისა —208,4 პროცენტით.

ფაბრიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ჩაის მზა პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 4,5 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა გეგმის გადამეტებით კიდევ მისცეს ქვეყანას ასეულობით კილოგრამი „საქართველოს თაიგული" და „ექსტრა".

ვ. კოპალეიშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

საბჭოთა ლიტერატურის კეთილშობილური ამოცანები

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ, დრამატიული თეატრების რეპერტუარის, კინოფილმ „დიდი ცხოვრების" შესახებ ჩვენი დღეების უაღრესად სერიოზული პოლიტიკური დოკუმენტებია. მათ მძლავრად შეარხიეს არამარტო ლიტერატორები და ხელოვნების მუშაკები, არამედ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობაც. ისინი წინ უწევენ საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითს აზრს.

მწერლები და ხელოვნების მუშაკები თავიანთ კრებებზე, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები თავიანთ გამოსვლებში, რომლებიც გამსჭვალულია მღელვარებით, აღიარებენ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემულ მითითებათა მთელ სიღრმესა და სისწორეს. ამ მითითებათა მნიშვნელობა კომუნიზმისათვის იდეოლოგიურ ბრძოლაში შეუძლებელია გადაჭარბებით იქნას შეფასებული, — ესოდენ მნიშვნელოვანი, ესოდენ ყოვლის შემცველი არიან ისინი. ისინი წარმოადგენენ საბრძოლო პროგრამას მთელი ჩვენი შემდგომი იდეოლოგიური მუშაობისათვის.

ამ დარგში ხელმძღვანელ პარტიულ დოკუმენტთა რიცხვს ეკუთვნის ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის გუშინ გამოქვეყნებული მოხსენება ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ. მას დიდი ყურადღებით წაიკითხავენ არა მარტო ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, არამედ მეცნიერების მუშაკებიც, ყველა პარტიული და საბჭოთა მუშაკი, მშრომელთა ფართო მასები. ამ მოხსენების მნიშვნელობა სცილდება საკუთრივ ლიტერატურის ფარგლებს, იგი მიმართულებას იძლევა იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი და ამხ. ჟდანოვის მოხსენება იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკს მოუწოდებენ თავიანთ საქმეს მოეპყრონ როგორც ხალხის მაღალ, იდეურ სამსახურს, მაქსიმალური კეთილსინდისიერებით და პატიოსნებით შეისწავლონ თავიანთი საქმე, იცოდნენ საგანი, მთელს მოღვაწეობაში იხელმძღვანელონ პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკით, როგორც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძვლით.

ჩვენი ლიტერატურა საბჭოთა ხალხის მშობლიური საქმეა. მას ეკუთვნის დიდი საზოგადოებრივ-გარდამქმნელი როლი. მან უნდა აღზარდოს საბჭოთა ადამიანი, ჩაუნერგოს მას კომუნიზმის სამართლიანი საქმისათვის უშიშარი მებრძოლის და ახალი ცხოვრების გაბედული, ინიციატივიანი მშენებლის თვისებანი. საბჭოთა ლიტერატურა აქტიურად უნდა შეიჭრას საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასმულია მის წინაშე. ამხანაგმა სტალინმა ჩვენს მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრები უწოდა. აქედან წარმოსდგება საბჭოთა ლიტერატურის უდიდესი პასუხისმგებლობაც თავისი ხალხის წინაშე. აქედან წარმოსდგება ლიტერატურაში „წუნის", ესე იგი უშინაარსო, უიდეო, სევდითა და ჩვენი საქმისადმი ურწმუნობით გამსჭვალულ ნაწარმოებთა დაუშვებლობა.

საბჭოთა ლიტერატურის პასუხისმგებლობა განსაკუთრებით დიდია ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. „სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა სახელმწიფომ და ჩვენმა პარტიამ საბჭოთა ლიტერატურის დახმარებით ჩვენი ახალგაზრდობა აღზარდეს სიმხნევის, თავისი ძალებისადმი რწმენის სულისკვეთებით, სწორედ ამიტომ გადავლახეთ ჩვენ უდიდესი სიძნელენი სოციალიზმის მშენებლობაში და მოვიპოვეთ გამარჯვება გერმანელებსა და იაპონელებზე". (ა. ჟდანოვი).

ლენინ-სტალინის პარტია საბჭოთა ლიტერატურას უყენებს ხალხის იდეური სამსახურის მაღალ მოთხოვნებს, განაგრძობს და ავითარებს რუსული კლასიკური ლიტერატურისა და რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის საუკეთესო ტრადიციებს. დიდმა რუსმა მწერლებმა მსოფლიო მდგომარეობა მოიპოვეს არამარტო შესანიშნავი მხატვრული ოსტატობით, არამედ თავიანთ ნაწარმოებთა მაღალი მორალური სულისკვეთებითაც. რუსული დემოკრატიული კრიტიკის კორიფეები შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ რუსულ საზოგადოებაში რეაქციულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, რომლებიც ჰქადაგებდნენ „წმინდა ხელოვნებას", „ხელოვნებას ხელოვნებისათვის", რომლებიც მტრულად და ზიზღით ეპყრობოდნენ მშრომელ ხალხს. ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს რუსული ლიტერატურა მიჰყავდათ ხალხისადმი თავდადებული სამსახურის გზით და სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ თავადაზნაურულ-ბატონყმურ და მეშჩანურ-ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს.

ლენინიზმი, რომელიც აღიარებს ჩვენი ლიტერატურის უდიდეს საზოგადოებრივ-გარდამქმნელ მნიშვნელობას, გვასწავლის პარტიულობას ლიტერატურაში.

„რაშია მდგომარეობს პარტიული ლიტერატურის ეს პრინციპი? არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება იყოს პირების ან ჯგუფების გამდიდრების იარაღი, იგი არ შეიძლება იყოს საერთოდ ინდივიდუალური საქმე, დამოუკიდებელი საერთო პროლეტარული საქმისაგან. ძირს უპარტიო ლიტერატორები! ძირს ზეკაცი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე საერთო-პროლეტარული საქმის **ნაწილი** უნდა გახდეს..."— სწერდა ვ. ი. ლენინი.

ლენინი მკვეთრად ამხილებდა უპარტიობისა და უიდეობის რეაქციულ მქადაგებლებს, თავმოყვარე უხამსობის აპოლოგეტებს, რომლებიც ისწრაფოდნენ ლიბერალებისათვის რევოლუცია და ხალხი წვრილი ობივატელური ინტერესების ჭაობში შეეყვანათ.

ამხანაგი სტალინი საბჭოთა მწერლებს მიუთითებს სულის ინჟინრებისა და ხალხის აღმზრდელების მათს მაღალ მოწოდებაზე და მუდმივ იჩენს მზრუნველობას საბჭოთა ლიტერატურის, როგორც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე რევოლუციური ლიტერატურის ზრდისა და განვითარებისათვის.

ხალხის სამსახურისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის გზაზე საბჭოთა ლიტერატურამ დიდი წარმატებანი მოიპოვა, მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა.

მით უფრო დაუშვებელი, მოუთმენელი აღმოჩნდა უკანასკნელ დროს ლიტერატურაში გამოვლინებული იდეოლოგიური გარღვევა. მწერლების, ლიტერატურული კრიტიკოსების, პარტიული მუშაკების ნაწილმა ლენინგრადში და სხვა ქალაქებში დაივიწყა იდეურობის, პრინციპულობის ბოლშევიკური მოთხოვნები, დაივიწყა, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ხალხს უნდა ემსახურებოდნენ. მათ გამოიჩინეს საშიში ლიბერალიზმი და ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილებზე გაუშვეს საბჭოთა ლიტერატურისათვის ისეთი მტრული ადამიანები, როგორიც არიან გაბოროტებული უხამსი და ხულიგანი ზოშჩენკო და თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული დაცემულობის პოეზიის ნაშთი ახმატოვა. ეს სულიერად გაპარტახებული ადამიანები, ცინიკურნი თავიანთ ურწმუნობაში, არამარტო გამოჩნდნენ საბჭოთა ჟურნალებში და თავის გარშემო თესავდნენ პესიმიზმს, დაცემულობას, სევდიან მოწყენილობას, არამედ პრეტენზიაც კი განაცხადეს საბჭოთა ახალგაზრდობის მასწავლებელთა როლზე. მათ და მათს მსგავსთ ასდიოდათ რეაქციული ინდივიდუალიზმის, ხალხის უგულვებელყოფისა და კაპიტალისტური დასავლეთის მეშჩანურ-ბურჟუაზიული, უბადრუკი, შეზღუდული ლიტერატურის წინაშე ქედის მოხრის დამპალი სუნი.

ხელოვნებაში დამარცხებულ რეაქციულ მიმართულებათა ნაშთებს მხოლოდ იმიტომ შეეძლოთ გაჭრილიყვნენ საბჭოთა ლიტერატურის ერთ უბანზე, რომ შესუსტდა სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე და გამოჩენილ იქნა საშიში შემწყნარებლობა უიდეო, აპოლიტიკური ტენდენციებისადმი. მწერალთა ზოგიერთ წრეში გავრცელდა უაზრო და უბადრუკი თეორია ომის შემდგომი „შესვენების" შესახებ, იმის შესახებ, რომ ლიტერატურას აქვს იდეურობისა და პოლიტიკური გარკვეულობისაგან „დასვენების" მითიური უფლება.

ლიტერატურული ნაძირალების ყველა ამ ცდას — მოსწამლონ ჩვენი ახალგაზრდობის შეგნება, ზიანი მიაყენონ საბჭოთა ხალხის იდეური აღზრდის საქმეს, ჩვენმა პარტიამ მტკიცე და გადამჭრელი წინააღმდეგობა გაუწია.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ საბჭოთა ჰაერს სწმენდენ ობივატელშჩინის, აპოლიტიკურობისა და უიდეობის ჭაობიანი ანაორთქლისაგან და საბჭოთა ინტელიგენციის წინაშე პასუხსაგებ ამოცანებს აყენებენ.

საბჭოთა ხალხი განუწყვეტლივ იზრდება სულიერად. მას უკანასკნელ წლებში ძლიერ გაუღვივდა კულტურული მოთხოვნები. სამამულო ომი აზრისა და გმირული გრძნობის მდიდარი სკოლა იყო. მთელი ძალითა და სილამაზით გამომჟღავნდნენ საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა პატრიოტის მაღალი მორალური თვისებანი, რომლებმაც მას მთელი მოწინავე კაცობრიობის დიდი პატივისცემა მოუპოვეს, მიუხედავად საერთაშორისო რეაქციის ხრიკებისა და ცილისწამებისა.

სწორედ საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც ასახავს უფრო მაღალ წყობილებას, ვიდრე ყოველგვარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილებაა, იმის უფლება აქვს, რომ სხვებს ასწავლოს ახალი, საზოგადოებრივი მორალი.

„ჩვენი ხალხი ყოველ დღე სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, და ხვალ ის აღარ ვიქნებით, რაც დღეს ვართ. ჩვენ ის რუსები აღარა ვართ, როგორიც 1917 წლამდე ვიყავით, რუსეთიც ის აღარ არის, და ხასიათიც უკვე სხვა გვაქვს. ჩვენ გამოვიცვალეთ და გავიზარდეთ იმ უდიდეს გარდაქმნებთან ერთად, რომლებმაც ძირიანად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე.

აჩვენოს საბჭოთა ადამიანების ეს ახალი მაღალი თვისებანი, არა მარტო დღევანდელი დღის მიხედვით აჩვენოს ჩვენი ხალხი, არამედ მის ხვალინდელ დღესაც ჩაიხედოს, დაეხმაროს — პროჟექტორით გაუნათოს • წინსვლის გზა — ასეთია ყოველი კეთილსინდისიერი საბჭოთა მწერლის ამოცანა". (ა. ჟდანოვი).

საბჭოთა მწერლებისა და მხატვრების წინაშე ცხოვრება შლის დიადი მშენებლობის გრანდიოზულ, წარმტაც პერსპექტივებს. რა მდიდარი მასალაა ნამდვილი შემოქმედებისათვის! რა კეთილშობილური ამოცანებია თავისი ხალხის ერთგული პატრიოტისათვის, რომელიც მოწოდებულია სიტყვით აღაფრთოვანოს თანამემამულენი! საბჭოთა ადამიანებმა მშობლიურ ლიტერატურაში უნდა ჰპოვონ მაცოცხლებელი ენერგიის წმინდა წყარო, სიმხნევისა და თავისი საქმისადმი რწმენის უშრეტი წყარო. მხატვრულმა სახეებმა, რომლებსაც ლიტერატურა და ხელოვნება ჰქმნიან სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე, იმ გმირობის გამოხატვამ და განზოგადებამ, რომლითაც ხალხი ამჟამად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღსადგენად მუშაობს, ჩვენს ჩინებულ ახალგაზრდობას უნდა ჩაუნერგოს მისწრაფება განუხრელად იაროს წინ, გადალახოს დაბრკოლებანი, აამაღლოს სოციალისტური სამშობლოს ძლიერება.

დიდია საბჭოთა ლიტერატურის ისტორიული მისია, უდიდესია მისი როლი ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში, ხალხის დარაზმვასა და აღზრდაში.

საბჭოთა ლიტერატურა, იხელმძღვანელებს რა ლენინიზმის დიადი პრინციპებით, გაჰყვება რა ლენინ-სტალინის პარტიის უკვლევად ხალხურ პოლიტიკას, შექმნის ჩვენი დიადი ეპოქის ღირსეულ ნაწარმოებებს.

„პრავდის" 22/IX მოწინავე.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

საზავო კონფერენციის კომისიებში

პარიზი, 21 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში სსრ კავშირის დელეგაციის სახელით გამოვიდა უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კრიუსი.

გ. გ. კრიუსის სიტყვა

ბელგიისა და ნიდერლანდის წინადადებას გამო—იტალიასთან საზავო ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას იტალიისა და ავსტრიის მთავრობებს შორის ა. წ. 5 სექტემბერს დადებული შეთანხმება სამხრეთ ტიროლის გერმანულ ენაზე მოლაპარაკე მცხოვრებთათვის გარანტიების შესახებ, საბჭოთა დელეგაციის საბჭოთა …

ეროვნულ მომენტს,—გერმანული ენის ზოგიერთ უფლებებს, ადგილობრივ დაწესებულებებში მოხელეთა თანამდებობების განაწილებას და სხვ. უფრო ფართო და ღრმა ეროვნულ უფლებებს, აგრეთვე მათი განხორციელების ეკონომიურ საფუძვლებს შეთანხმება მთლიანად გვერდს უვლის. მაგრამ ეს პირობები ხომ …

… ფოებისადმი, რომლებსაც გადაეცემა იტალიის ტერიტორიის ესა თუ ის ნაწილი. ეს, სხვათა შორის, ჩინებულად იცის საფრანგეთის დელეგატმა კუვ დე მიურვილმა, მაგრამ იგი თანახმდევარი არ არის თავის მოქმედებაში. კუვ დე მიურვილმა სთქვა, ამერიკის წინადადება ზედმეტიაო, მაგრამ მან ვერ გაბედა გამოეთქვა ამ ზედმეტი დამატების საწინააღმდეგო აზრი.

მე ვფიქრობ, განსაკუთრებით ვიმეორებ, რომ ამერიკის შესწორების ძალიან განსაზღვრა მეტისმეტად შემწყნარებელია. უფრო მეტს ვიტყვი— შესწორება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია გვთავაზობს, არა მარტო ზედმეტი, არამედ მავნეა. ეს შესწორ…

… მყოფელი იქნებოდა ამ ჩვენი მოკავშირე სახელმწიფოებისათვის.

უნდა ვთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ წამოყენებული შესწორების მიღებას სხვანაირად ვერ შევაფასებთ, თუ არ როგორც დარტყმას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ. ამ შესწორების მიღება მძიმე შეცდომა იქნებოდა ჩვენი კომისიისა და მთლიანად კონფერენციის მხრივაც, თუ იგი ამ გზას დაადგება.

იუგოსლავიის დელეგატმა ბებლერმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ იუგოსლავიის კონსტიტუცია უზრუნველყოფს ყველა იმ უფლებას, რომლებზეც ლაპარაკია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოყენებულ შესწორებაში …

… ჩამოყალიბა ეგვიპტის ტერიტორიული პრეტენზიები იტალიისადმი. ეგვიპტე პრეტენზიას აცხადებს მასაუას ნავსადგურზე და ერითრეის სხვა ტერიტორიებზე, ჯერაგუბის ოაზისზე და სოლუმის ზეგანზე.

ეთიოპიის წარმომადგენელმა მოითხოვა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს იტალიის აგრესიას ეთიოპიის წინააღმდეგ. ეს აგრესია მარტო ფაშიზმის შედეგი როდია; იგი ტარდებოდა ფაშისტურ რეჟიმამდე არსებულ პერიოდშიც. იტალია დიდი ხანია ისწრაფვის მოსპოს ეთიოპია როგორც დამოუკიდებელი ერი, გადააქციოს იგი იტალიის კოლონიად. იტალიის თავდასხმა ეთიოპიაზე 1935 წელს მრავალი წლის დრამის მხოლოდ უკანასკნელი …

ეთიოპიის წარმომადგენელმა ვაქვირებს გამოსთქვა … იტალიის … მო შეუნარჩუნოს იტალიას მისი ყოფილი კოლონიები. შეეხო რა ბონომის განცხადებას იმის შესახებ, რომ ეს მოთხოვნები ნაკარნახევია ჰუმანურობის, პროგრესისა და ცივილიზაციის მოსაზრებებით, ეთიოპიის წარმომადგენელმა სთქვა:

— აფრიკის — სენუსის, ლიბიის, ერითრეის, სომალის ხალხებს ნათელი წარმოდგენა აქვთ იტალიის რეჟიმსა და იტალიის ცივილიზაციაზე.

ბრაზილიის წარმომადგენელი იცავდა ბრაზილიის დელეგაციის მიერ შეტანილ შესწორებას, რომლის აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ ლიბიაზე (თერენაიკის გამოკლებით), ერითრეასა …

…

საერთაშორისო ურთიერთობაში საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის იცავს ჩაგრულ ერთა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების მხარეზე.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება სამხრეთ ტიროლის ეროვნული უმცირესობისადმიც. ცხადია, საბჭოთა დელეგაციის სიმპატიები მთლიანად მის მხარეზეა.

რაც შეეხება ავსტრია-იტალიის ამა წლის 5 სექტემბრის შეთანხმებას, საბჭოთა დელეგაციას ეს შეთანხმება სამხრეთ ტიროლის გერმანულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის ეროვნული უფლებების საკითხის არადამაკმაყოფილებელ გადაწყვეტად მიაჩნია.

ეს შეთანხმება მეტად ზერელედ ეხება გერმანული მოსახლეობის მხოლოდ რამდენიმე …

… ყრამ უმნიშვნელო უმრავლესობა (ერთი ხმით) მისცა დიდი ბრიტანეთის წინადადებას. მეოთხე პუნქტის კენჭის ყრისას ხმები თანასწორად გაიყო.

პროცედურის წესების თანახმად, ის წინადადება, რომელიც ხმების თანასწორ რაოდენობას მიიღებს როგორც სასარგებლოდ, ისე წინააღმდეგ, მიღებულად არ ითვლება.

საკითხი თითქოს სავსებით ნათელია, მაგრამ დიდი ბრიტანეთის დელეგაცია, რომელსაც მხარი დაუჭირეს ბრიტანეთის „კლიენტების" დელეგაციებმა, შეეცადა გაეტანა ეს წინადადება, რომელმაც ვერ ჰპოვა კომისიის უმრავლესობის მოწონება. ბრიტანეთის წინადადების მომხრეები მოითხოვდნენ კიდევ ერთხელ ეყარათ მისთვის კენჭი. მაგრამ ეს ცდები წარმატებით ვერ დამთავრდა.

… ძიებებს, რომლებიც იმას ესწრაფვიან, რომ უზრუნველყონ იტალიის ინტერესები.

განა შეიძლება რამდენადმე მაინც შევუფარდოთ ამ მდგომარეობას საფრანგეთსა და იუგოსლავიაში არსებული ვითარება? თვით აზრიც კი ასეთი შედარების შესახებ შეურაცხ…

… ვო. … დელეგაციის შესწორება. იუგოსლავიის დელეგაციის შესწორებათა საკითხის გადაწყვეტა გადადებულია შემდეგი სხდომისათვის.

…

პარიზი, 23 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის დღევანდელ სხდომაზე 12 ხმით ორი ხმის წინააღმდეგ, ექვსმა თავი შეიკავა, მოწონებულ იქნა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის 13-ე მუხლი, რომელიც ეხება მოქალაქეობისა და მოქალაქეობრივ უფლებებს გადასაცემ ტერიტორიებზე. სსრ კავშირის დელეგაციამ თავი შეიკავა ამ მუხლისათვის ხმის მიცემისაგან, ვინაიდან ეს მუხლი თავის საბოლოო ტექსტში შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ შეტანილ დამატებას, რომლის წინააღმდეგაც ხმა მისცა საბჭოთა დელეგაციამ წინა სხდომაზე (ეს დამატება უდრის მთელ რიგ მოკავშირე სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას). ამრიგად, კომისიის გადაწყვეტილებამ 13-ე მუხლის ამერიკული შესწორების შესახებ ვერ მოაგროვა ხმების ორი მესამედი იმისათვის, რომ რეკომენდაცია გამხდარიყო.

კომისია გადავიდა საზავო ხელშეკრულების პროექტის 17-ე მუხლის განხილვაზე, რომელიც იტალიის კოლონიებს ეხება.

მოქალაქეობის შესახებ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც იტალიისაგან მოკავშირე სახელმწიფოთა ხელში გადადის

პარიზი, 22 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის მთელი გუშინდელი სალამოს სხდომა, რომელმაც ხუთ საათზე მეტს გასტანა, მიეძღვნა საზავო ხელშეკრულების პროექტის 13-ე მუხლის განხილვას, რაც ეხება მოქალაქეობას იმ ტერიტორიებზე, რომლებიც იტალიისაგან მოკავშირე სახელმწიფოთა …

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელი ვიშინსკი.

ვიშინსკიმ მხარი დაუჭირა იუგოსლავიის დელეგაციის მიერ ბრაზილიის შესწორებათა წინააღმდეგ გამოთქმულ აზრს. საბჭოთა დელეგაციის, სთქვა ვიშინსკიმ, მიუღებლად მიაჩნია აგრეთვე საბერძნეთის შესწორება. აქ მთელი საკითხი ეხება. საზავო ხელშეკრულების …

იტალიის კოლონიების პრობლემის განხილვა

მოგაგონებთ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო ვერ მივიდა ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე იტალიის კოლონიების პრობლემაზე. ამიტომ გადაწყვეტილი იყო ამ პრობლემის გადაჭრის ერთი წლით გადადება. ახლანდელი რედაქციით იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის 17-ე მუხლში, რომელიც წარმოადგენილია საგარეო საქმეთა მი…

… გენელმა ბონომიმ თავის სიტყვაში გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ საზავო ხელშეკრულების პროექტით იტალიას უარი უთხრან მის უფლებებზე კოლონიებში. ამასთან, მან მოითხოვა, რომ იტალიის კოლონიების საკითხის გადაწყვეტის ერთი წლით გადადების შემთხვევაში ისინი ინგლისის გამგებლობიდან და ნაწილობრივ საფრანგეთის …

… არამედ იტალიისათვის სხვა მატერიალური პრეტენზიების წარდგენაშიც.

უკრაინა იმისა და ოკუპაციისაგან ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაზარალებული რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში. ზარალი, რომელიც მარტო უკრაინას მიაყენეს გერმანია-იტალიის ჯარებმა ერთობლივი მოქმედებით მრავალ ათეულჯერ აღემატება მთელი საბჭოთა კავშირის მიერ იტალიისაგან მისაღები რეპარაციების საერთო თანხას. საბჭოთა კავშირისა, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს უკრაინის ინტერესებსაც. სამართლიანობითა და უფლებით უკრაინას უნდა მოეთხოვა მისთვის მიყენებული ზარალის სრული დაფარვა რეპარაციებისა ან სხვა წყაროების ხარჯზე, მაგრამ იგი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები, არ წავიდა მრავალი ქვეყნის მიერ არჩეული გზით, რომლებმაც თავიანთი მოთხოვნების ასტრონომიული ციფრები დაასახელეს. მან გამოიჩინა სულგრძელობა მაქსიმუმი და კმაყოფილდება მისთვის მიყენებული ზარალის მხოლოდ ნაწილობრივად ანაზღაურებას.

ზოგიერთმა მოკავშირე და გაერთიანებულმა სახელმწიფომ—ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ჩინეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ინდოეთმა და სხვებმა უარი სთქვეს რეპარაციებზე და …

კრაიოვა რადა ნაროდოვას XI სესია

ვარშავა, 20 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაიხსნა კრაიოვა რადა ნაროდოვას XI სესია.

პრეზიდენტმა ბ. ბერუტმა სესიის გახსნისას შეკრებილთ მიმართა სიტყვით, რომელშიც გააკრიტიკა უცხოეთის ზოგიერთი წრეების ცდები—მოახდინონ პოლონეთის დასავლეთი საზღვრების რევიზია.

ბერუტმა კმაყოფილებით აღნიშნა რეალუ-რი დახმარება, რომელიც პოლონეთმა საბჭოთა კავშირისაგან მიიღო, რამაც გამოხატულება ჰპოვა ვ. მ. მოლოტოვის განცხადებაში. ამ გამოსვლას, ამბობს პრეზიდენტი, ჩვენ ვერაფერს დავუმატებთ. სესიამ მქუხარე ოვაცია გაუმართა სსრ კავშირის ელჩს პოლონეთში ლებედევს. ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს პოლონეთისა და სსრ კავშირის მეგობრობას!“.

პოლონეთის სეიმის არჩევნების დებულების პროექტის განხილვა

ვარშავა, 23 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ კრაიოვა რადა ნაროდოვას სესიის განსახილველად შეტანილ იქნა პოლონეთის სეიმის არჩევნების დებულების პროექტი. პროექტის თანახმად, სეიმში არჩევის უფლე-...

...თი სოციალისტური პარტიისაგან რუსინეკმა და დეპუტატმა ვილიანოვსკიმ (სტრონიცტვო ლიუდოვე) აღნიშნეს, რომ მათი სადეპუტატო ჯგუფები სავსებით იწონებენ არჩევნების დებულების პროექტს, რომელიც უზრუნველ-...

...პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს მხრივ. დეპუტატი ვოიციკი (პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს მთავარი საბჭოს მდივანი) თავის სიტყვაში იქამდე მივიდა, რომ ამტკიცებდა, თითქოს პროექტი არღვევს 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებს. პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს ფრაქცია, — განაცხადა მან, — იმის წინააღმდეგია, რომ საარჩევნო უფლებები წაერთვას იმ ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ფაშისტურ არალეგალობასთან. ვოიციკმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ მომავალ სეიმში 100 სადეპუტატო ადგილი დაეთმოთ პოლონეთის დასავლეთი მიწების მოსახლეობის წარმომადგენლებს. ამ განცხადებამ დეპუტატების ძლიერი აღშფოთება გამოიწვია.

ასეთივე ანტიდემოკრატიული სულისკვეთებით გამოვიდა პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს მეორე ორატორი ზელენსკი.

სესიაზე გამოსულმა დეპუტატმა პოლონე-...ზე უარესად როდი მოუვლის. რადის ახლანდელი სესია,—ამბობს ბერუტი,—როგორც ჩანს, მისი უკანასკნელი სესიაა. ბერუტმა შეაჯამა რადის სამი წლის მუშაობა და აღნიშნა, რომ იგი კარგად ემსახურა სამშობლოსა და ხალხს, ცდილობდა რაც შეიძლება გაეძლიერებინა მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის როლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. უეჭველია,—ამბობს ბერუტი,—რომ პოლონელი ხალხი მომავალშიც ამ გზით ივლის. საარჩევნო კამპანიამ, რომელშიც ჩვენ შევდივართ,—ამთავრებს ბერუტი, — ხელი უნდა შეუწყოს სტაბილიზაციას ჩვენს ქვეყანაში, გააერთიანოს და განამტკიცოს ხალხის ძალები.

ბერუტმა მოუწოდა დეპუტატებს ერთგულნი იყონ ამ პრინციპისა.

ყველა დეპუტატი ფეხზე დგება და მქუხარე ოვაციას უწყობს პრეზიდენტს.

ჰარიმანის დანიშვნა ვაჭრობის მინისტრად

ვაშინგტონი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ტრუმენმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ინგლისში ჰარიმანი დაინიშნა ვაჭრობის მინისტრის პოსტზე უოლესის ნაცვლად.

მღელვარებანი კალკუტასა და ბომბეიში

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, დღეს კალკუტაში დაიწყო ახალი მღელვარება და შეტაკება ინდუსებსა და მუსლიმანებს შორის. დილით კალკუტის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში მღელვარების შედეგად 20 კაცი დაიჭრა. პოლიციამ და ჯარებმა „ეფექტიანი ღონისძიებანი მიიღეს“.

ბომბეიში დღეს მოკლულ იქნა ერთი კაცი და, როგორც ხელისუფალნი იუწყებიან, არ არის მდგომარეობის გაუმჯობესების არავითარი ნიშანი. ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ქუჩებში მოძრაობის შეზღუდვა, რაც ხვალ უნდა დამთავრებულიყო, კიდევ ერთი კვირით გაგრძელდება.

დაძაბული მდგომარეობა ჰაიფაში

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ ინ-... რომლებიც გუშინ ჰაიფას გემით ჩაიდნენ.

დღეს ჰაიფაში ებრაელთა მაღაზიები დახუ-...

...ტის გამოსაცხადებლად, ... ძალზე გაზვიადებულ ებრაელთა ლტოლვილებს, ... დოებრივ შენობათა დაცვა გაძლიერებულია.

დემონსტრაციის დახვრეტა ამსტერდამში

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ ინდონეზიაში ჰოლანდიის ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციის დროს ამსტერდამში სამხედრო და სამოქალაქო პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს და ხელკეტები იხმარა. ერთ-ერთი დემონსტრანტი—ჰოლანდიის არმიის ჯარისკაცი — სასიკვდილოდ დაჭრეს.

ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესის მესამე ყრილობა

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საკდესი). კონგრესის მდივანი პირინსკი ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესის ყრილობაზე გამოვიდა და გააკეთა ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესის მოღვაწეობის დაწვრილებითი მიმოხილვა ეროვნული მეორე ყრილობის დროიდან, რაც 1944 წელს მოხდა. პირინსკი მწვავედ აკრიტიკებდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უუნარობას განახორციელოს რუზველტის პოლიტიკა. პირინსკიმ მაღალი შეფასება მისცა დემოკრატიულ რეჟიმებს იუგოსლავიაში, პოლონეთსა, ჩეხოსლოვაკიასა და ბულგარეთში და განაცხადა, რომ ხალხთა მასების მძლავრი აღმავლობა, რომლებიც ისწრაფვიან პოლიტიკური და ეკონო-...

...შეიარაღებული ძალისა და ატომური ბომბის დახმარებით“.

პირინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტრუმენის მიერ უოლესის სიტყვისათვის მხარდაჭერაზე უარის თქმა წარმოადგენს „სრულ კაპიტულაციას რეაქციონერთა წინაშე და იმის აშკარა აღიარებას, რომ ამერიკის პოლიტიკა შეიცვალა. ეს უარის თქმა წარმოადგენს რუზველტის მიერ დასახული მშვიდობის გზის გადახვევას და ეს გადახვევა დღეს საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უშიშროებას“. პირინსკი აკრიტიკებდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას პარიზის კონფერენციაზე იმისათვის, რომ იგი გამოდის სლოვენთა და ხორვატთა მოთხოვნის წინააღმდეგ ...

...ბერში ვალდებულება იკისრეს ერთმანეთისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ. პაქტის დადების შედეგად წარმოიშვა რუსეთის დანაწილების პროექტები. ამასთან ამ საქმეში ჩაბმულ იქნენ რუსი თეთრგვარდიელები რუსეთში, ავღანეთსა და რუმინეთში პროპაგანდისა და ძირგამომთხრელი საქმიანო-...

მთავარ იაპონელ სამხედრო-დამნაშავეთა პროცესზე

ტოკიო, 24 სექტემბერი, (საკდესი). ...

...ზე.

1941 წლის 2 ივლისს იმპერატორის თანდასწრებით შემდგარ შეტად მნიშვნელოვან თათბირზე განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი იაპონიისათვის ხელსაყრელად განვითარდება, ეს უკანასკნელი იარაღს იხმარს, რათა გადასჭრას „ჩრდილოეთის პრობლემა“.

თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების ახალი საწარმო

ამ დღეებში თბილისში ამუშავდა საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა, რომელიც უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ფიზიკა-ქიმიური კაბინეტებისათვის გამოუშვებს თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოებს. ქარხანამ უკვე დაამზადა პირველი პროდუქცია, მუშის საამქრომ გამოუშვა ათეულ-ათასობით ცალი ქიმიური ჭურჭელი. მექანიკურმა საამქრომ აითვისა სხვადასხვა ...

ფ ო თ ი

ევკალიპტის ტყე კოლხიდაში

...

ორი ახალი ხიდი

...

108 წლის მჭედელი

...

ს პ ო რ ტ ი

შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

...

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი

...ძიერ ხიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებზე და 1943 წლის 25 იანვარს ხელოვნების მუშაკთა კრებაზე წარმოთქმული სიტყვა თეატრისა და დრამატურგიის შესახებ.

წიგნი, რომლის რედაქტორია დ. შენგელაია, შეიცავს 159 გვერდს და ღირს 12 მან.

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი

(მეორე წლის გამოშვება)

მოგებათა ოცდამეშვიდე ტირაჟის ოფიციალური ცნობა

ტირაჟი შესდგა 1946 წლის 15 აგვისტოს ქალაქ მიტიშჩში (მოსკოვის ოლქი). მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეორე წლის გამოშვება) ოცდამეშვიდე ტირაჟში მოგებანი ხვდათ წილგებული გამოშვების ყველა 74 თანრიგის სერიებსა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
60121	46*)	500	71205	1—50	200
60364	27*)	500	71250	15*)	500
60480	22*)	500	71345	1—50	200
60490	47*)	500	71389	08*)	500
60506	1—50	200	71537	13*)	500
60561	1—50	200	71550	07*)	500
60718	25*)	500	71666	15*)	500
60727	1—50	200	71999	45*)	500
60792	17*)	500	72030	20*)	500
60928	41*)	500	72139	1—50	200
60994	11*)	500	72239	1—50	150
61065	09*)	500	72342	03*)	500
61144	07*)	500	72569	26*)	500
61284	1—50	200	72748	44*)	500
61703	1—50	200	72788	41*)	500
61878	04*)	500	73066	17*)	500
62010	20*)	500	73110	31*)	500
62141	24*)	500	73228	17*)	500
62525	29*)	500	73386	1—50	200
63070	1—50	150	73416	19*)	500
63263	1—50	200	73508	27*)	500
63422	21*)	500	73564	1—50	150
63459	48*)	1000	73791	05*)	500
63495	01*)	500	73796	19*)	500
63576	21*)	500	73838	1—50	150
63620	43*)	500	73870	1—50	200
63857	35*)	500	74321	1—50	150
64023	46*)	500	74415	34*)	500
64142	1—50	150	74558	26*)	500
64153	1—50	200	74641	1—50	200
64329	37*)	500	74696	03*)	500
64357	24*)	500	74747	13*)	500
64497	1—50	200	74837	1—50	200
64498	14*)	500	74839	1—50	150
64664	04*)	500	74853	1—50	150
65078	39*)	500	74932	1—50	200
65162	36*)	500	75002	47*)	500
65234	40*)	500	75255	03*)	500
65382	14*)	500	75270	42*)	500
65647	37*)	3000	75277	37*)	500
65700	18*)	1000	75719	1—50	150
65711	1—50	200	75739	01*)	500
65715	30*)	500	75746	1—50	200
66204	12*)	500	75899	30*)	500
66415	1—50	200	75986	20*)	500
66545	42*)	500	76098	06*)	500
67004	15*)	1000	76186	41*)	500
67059	36*)	500	76218	43*)	500
67231	10*)	500	76323	1—50	200
67655	41*)	500	76442	10*)	500
67884	36*)	500	76562	24*)	500
68113	13*)	500	77005	1—50	200
68133	40*)	500	77044	11*)	500
68138	31*)	500	77118	48*)	500
68233	42*)	500	77360	20*)	500
68849	49*)	500	77361	22*)	500
68918	40*)	500	77687	1—50	200
68950	18*)	500	77761	1—50	200
69077	1—50	200	77941	37*)	500
69092	09*)	500	78023	21*)	500
69177	45*)	500	78117	32*)	500
69654	1—50	200	78151	35*)	500
69747	46*)	500	78574	29*)	500
70061	1—50	200	78692	42*)	500
70368	37*)	500	78932	1—50	150
70373	09*)	500	78937	33*)	500
70495	50*)	500	78965	10*)	500
70515	21*)	500	79102	1—50	150
70712	16*)	500	79448	46*)	500
70739	1—50	150	79600	25*)	500
70861	49*)	1000	79656	18*)	1000
70978	1—50	200	79839	1—50	200
71063	47*)	500	79947	09*)	500

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციებს ხვდათ 150 მანეთი მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
ნ. მ. ბოროდკინი

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **მ. ა. სმირნოვა**

ლ ე ქ ც ი ა

25 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ხეთაგუროვის ქ. № 2) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს მორიგ მიღებას საკანდიდატო ასპირანტურაში აკადემიის ქვემოთ დასახელებულ ინსტიტუტებში შემდეგ სპეციალობებზე:

1. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში (ძერჟინსკის ქ. № 8), სპეციალობა: საქართველოს ისტორია.
2. აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში (ძერჟინსკის ქ. № 8), სპეციალობა: კავკასიური ენები.
3. ეკონომიკის ინსტიტუტში (რუსთაველის პროსპექტი № 33/35), სპეციალობა: პოლიტ-...

...
6. ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში (ძერჟინსკის ქ. № 8), სპეციალობა: გეოფიზიკა.
7. ქიმიის ინსტიტუტში (კამოს ქ. № 34), სპეციალობა: ფიზიკური ქიმია.
8. აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (აბასთუმანი ყაზბილი), სპეციალობა: ასტროფიზიკა.
9. მემინდვრეობის ინსტიტუტში (ყარაია), სპეციალობა: მემინდვრეობა.
10. მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში (თელავი), სპეციალობა: მევენახეობა და ღვინის ტექნოლოგია.
11. ბოტანიკის ინსტიტუტში (კოჯრის გზატკეცილი), სპეციალობა: უმაღლესი მცენარეთა სისტემატიკა.
12. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში (ვაკე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობაში), სპეციალობა: ენტომოლოგია.
13. ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში (კამოს ქ. № 34), სპეციალობა: მეტალურგია, ლითონმცოდნეობა და სამთო ...

...
16. ზოოლოგიის ინსტიტუტში (ძერჟინსკის ქ. № 8), სპეციალობა: ზოოლოგია.
17. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში (მარის ქ. № 1), სპეციალობა: ფიზიოლოგია.
18. ექსპერიმენტალური მორფოლოგიის ინსტიტუტში (კამოს ქ. № 43), სპეციალობა: მორფოლოგია.

ინსტიტუტის დირექტორის სახელზე, შემოტანილ განცხადებას ასპირანტურაში მი-ღების შესახებ თან უნდა დაერთოს:

ა) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, ბ) ავტობიოგრაფია, გ) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, დ) დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან ან უმაღლესი სასწავლებლიდან, ე) სამეცნიერო შრომები (დაბეჭდილი ან ხელნაწერი, უკეთუ ასეთი აქვს), ვ) შევსებული კადრების სააღრიცხვო პირადი ფურცელი, ზ) შემოწმებული სამი ფოტოსურათი.

ასპირანტურაში შემსვლელ პირს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და უნდა ჩააბაროს გამოცდები (საუნივერსიტეტო კურ-...

... ასპირანტურაში ჩარიცხვა მოხდება ა. წ. 16 ნოემბრიდან.

ასპირანტურაში ჩარიცხვის შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

მოქალაქე ...
...
ბიძინა გოგოლაძე იუწყება ძიძის ლიდია იაკობის-ასულ შუშანია-გოგოლაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/IX, 7 ს. გამოსვენება 28/IX, 5 ს. გოგებაშვილის, 5.

ოჯახი იუწყება ეფროსინე პეტრეს-ასულ გობეჯიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/IX, 7 ს. დაკრძალვა 26/IX, 6 ს.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნის—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 09692